



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №10

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 16 ოქტომბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|----------------------|---|---|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დimitრი ჭეიშვილი | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ მამულაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
რაულ თავართქილაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ ღუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;
თემურ კახიძე	- საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	- საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭავაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და მიულოცა დღესასწაული -სვეტიცხოვლობა. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 11 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა, მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მამდიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 5. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 8. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ და საპროცედურული საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 11. „ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე-მიესალმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ აქვს ბევრი ახალი საკითხები, მაგრამ დღეს არ აპირებს გამოტანას, რადგან მას დეკუტატად ყოფნის პერიოდში აქვს 137 საკითხი დაყენებული როგორც ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ისე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისათვის. გამომდინარე აქედან აღნიშნული საკითხებიდან 5 საკითხია მოგვარებული, რის გამოც ელოდება წერილობით პასუხს ბოლო სხდომებზე დაყენებულ საკითხებთან მიმართებაში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული უმძიმესი გამოწვევების შედეგად დაზარალდა საზოგადოება, მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები, შეუმცირდათ შემოსავლები და სხვა. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რაც ითვალისწინებს ვადის გადაწევას 2020 წლის 31 დეკემბრამდე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების ახალის წესის შემოღების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და ასევე გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის ინტერესები გადასახადის გათავისუფლების ნაწილში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15
არ ესწრებოდა: 0

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულაციული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების ძირითადი მიზანია ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საქალაქო სამარშრუტო ხაზების ოპტიმიზაცია და სამარშრუტო ქსელის მოქალაქეებზე (მგზავრზე) მორგება.

აზრო

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - დიმიტრი ჭეიშვილმა დასვა კითხვა ახალ ქსელზე გადართვის ბოლო ვადის და სამარშრუტო ქუჩების შეზღუდვის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ახალ ქსელზე გადართვა 15 დეკემბრამდე მოხდება და ქუჩებს რაც შეეხება ნაწილდება პუშკინის, გორგასალის და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ სალამოს საათებში გადამოწმდეს მარშრუტების მოძრაობა, რადგან გადამზიდ კომპანიებში არ არის ყველაფერი მოწესრიგებული, რის გამოც ვითხოვდი მონიტორინგისათვის კომისიის შექმნას. სალამოს საათებში მძღოლები ღებულობენ დამატებით დაკვეთებს, თუმცა ხელშეკრულების საფუძველზე მათ არ აქვთ უფლება კერძო სამუშაოების შესრულებისა, რის გამოც იქმნება ქაოსი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამარშრუტო ტაქსი აღჭურვილია ჯიპიეს სისტემით, მუნიციპალური ინსპექციის მიერ დაიწყო გაკონტროლება თითოეული სამარშრუტო ხაზის და გამოვლინების შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება გადამზიდავი კომპანიის თუ მძღოლის მიმართ. ახალი კონკურსის ჩატარების შემდეგ ვალდებულება ექნებათ ჯიპიესი სისტემის დამონტაჟებისა.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ პუშკინის ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს ბონის ბაზრობიდან იმედაშვილის ქუჩამდე და მისი მიმდებარე ქუჩებიდან ჭაობისკენ, საერთოდ არ არის იმის საშუალება, რომ ბაზრიდან დატვირთული დიასახლისები მარშრუტით გადაადგილდნენ და არა ტაქსით იმოძრაონ. წინა წლებში ოპერირებდა რამდენიმე სამარშრუტო ხაზი, მაგრამ სამწუხაროდ მათ სარგებელი არ ჰქონდათ და დატოვეს ხაზი. გამომდინარე აქედან, მიმართა თხოვნით, რომ გადამზიდ კომპანიამ თუნდაც პატარა მონაკვეთი შეითავსოს და შემდეგი მოძრაობა გააგრძელონ ჭავჭავაძის ქუჩით ან გაითვალისწინეთ, ამ მონაკვეთში მუნიციპალური ავტობუსების მოძრაობა.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ მძღოლები აცხადებენ პრეტენზიას ჯარიმებთან დაკავშირებით მოქალაქეების მიერ პირბადის გამოუყენებლობის გამო. მძღოლებმა უნდა უზრუნველყონ გადაზიდვის უსაფრთხოება და არა მოქალაქეს ეკამათოს პირბა-

დის გამო. ეს სამართლებრივად შეუძლებელია.

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ აქვთ მკაცრი პროტოკოლი საკორდინაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული, სადაც M2 და M3 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსების და მიკროავტობუსების მძღოლები ვალდებული არიან იმ შემთხვევაში თუ ერთ მოქალაქესაც არ უკეთია პირბადე, არ უნდა დაძრან სამარშრუტო ან თუნდაც მუნიციპალური ავტობუსები, გამომდინარე აქედან, თუ მკაცრ მოთხოვნებს არ ექვემდებარება შესაბამისი სამსახური, მუნიციპალური ინსპექცია დააჯარიმებს მოქალაქეს, თუ მძღოლი სამართალდარღვევით გადაადგილდება, ბუნებრივია პასუხისმგებლობა მასზეც გავრცელდება. ბათუმის მერია კიდევ ერთხელ შეხვდება ხელმძღვანელებს რეგულაციების გასაცნობად. შესაბამისად, მუნიციპალურმა სამსახურებმა სრული სიმკაცრით უნდა განახორციელონ კონტროლი ტრანსპორტში პირბადეების ტარებასთან დაკავშირებით, როგორც მგზავრებთან, ასევე მძღოლებთან მიმართებაში. მოუწოდებს ყველას, გამოიჩინონ თავისი წილი პასუხისმგებლობა და გაითვალისწინონ ეპიდემიოლოგების რეკომენდაციები. პირბადის ტარება ქვეყანაში არის სავალდებულო, ამით დავიცავთ როგორც საკუთარ, ასევე ჩვენი ახლობლების სიცოცხლეს. წესრიგის დაცვის პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ მძღოლები და რა თქმა უნდა, კონტროლისა და მონიტორინგის მიმართულებით, მუნიციპალური ინსპექცია.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელი აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების ძირითადი მიზანია მიმდინარე საკონკურსო წესის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის შეჩერების ვადით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელები გათავისუფლდნენ ნებართვის გაცემის ფასის გადახდისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:15

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტულ უფლებრივი ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის მიზნით, ამ შემთხვევაში მტკიცდება ჯერ კონცეფცია, საუბარია რუკაში ფუნქციური ზონირების ცვლილების კონცეფციის დამტკიცებაზე, ჭოროხისპირა ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიის სამრეწველო ზონად ცვლილების თაობაზე. ტერიტორიაზე ათეული წლებია განაშენებულია სამრეწველო ობიექტები, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო მასალების წარმოება და ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია მსგავსი განვითარება ქალაქთმშენებლობის კუთხით არსებულ ტერიტორიაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ე. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ზონის ცვლილებას, თუმცა ამ შემთხვევაში არის ზონის არაარსებითი ცვლილება, რადგან იქ არ ხდება განსხვავებული პარამეტრების დადგენა და არსებულ სიტუაციებთან მიმართებაში შპს „ბაკური“-ს მიერ არსებულ ტერიტორიაზე, ბაზრის ტერიტორიაზე მაიაკოვსკის N4ა-ში. არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით ტერიტორია წარმოადგენს შერეული ზონის ნაწილს. ტერიტორიაზე განთავსებულია საბითუმო ვაჭრობა. რუკაზე არის სტატუსი, როგორც სატრანსპორტო ქუჩა, რაც არ შეესაბამება, აქედან გამომდინარე არაარსებითი ცვლილებაა და არ საჭიროებს წარმოებას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

საკითხი 8. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხშიც საუბარია იგივე ტერიტორია, ოღონდ ამ შემთხვევაში გვაქვს ორი რუკა, ერთი - ზოგადი ზონირების ხოლო მეორე - კონკრეტული ზონირების რუკა, გამომდინარე აქედან მტკიცდება დადგენილების პროექტი და ამის გამო საკითხი ცალკე განიხილება. 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში შედის ცვლილება, იცვლება ზოგადი ზონირების რუკა იგივე ტერიტორიაზე ქ. ბათუმში, ვლადიმირ მაიაკოვსკის ქ. N4ა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის არჩილ მამულაძის მიერ წარმოდგენილი №11/365 განცხადებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

აზრი

გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ არჩილ მამულაძე აღნიშნული კომისიის წევრია, იურიდიული კომისიას რამდენჯერმე თავმჯდომარეობდა, იჩენდა აქტიურობას, რის გამოც მადლობა გადაუხადა კომისიაში მუშაობისათვის და ის დარწმუნებულია, რომ იგივე შემართებით და ნაყოფიერებით გააგრძელებს მუშაობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის არჩილ მამულაძის მიერ წარმოდგენილი №11/365 განცხადებით, რომლის თანახმად მას სურს შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიაში, კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომამე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა (GCAP) წარმოადგენს პროექტს, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გავლით დააფინანსა შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SIDA). პროექტზე მუშაობა 2018 წლის აგვისტოდან დაიწყო, გეგმის მომზადებაში ბათუმის მერიას დახმარებას უწევდა EBRD-ის მიერ შერჩეული კონსულტანტი - AECOM Limited. პროექტის მიზანია ურბანული გარემოსდაცვითი საკითხების მხრივ არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია და მათი გადაწყვეტის შესაძლებლობების ანალიზი, პრიორიტეტიზაცია, ხედვის ჩამოყალიბება და ისეთი პროექტების (აქტივობების) დასახვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას. გეგმის მომზადების პროცესში დარგობრივი სფეროების მიხედვით ტექნიკური რჩევების გაცემის მიზნით, შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა მერიის სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ასევე, პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და GCAP-ის დამტკიცებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საბოლოო თანხმობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭო, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიების თავმჯდომარეების შემადგენლობით. გეგმის შემუშავების მიზნით, 2018 წლის ბოლოს და 2019 წლის დასაწყისში მომზადდა პოლიტიკის ჩარჩო ანგარიში და ტექნიკური შეფასების ანგარიში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა შეხვედრები კერძო, სამოქალაქო, არასამთავრობო და საჯარო ორგანიზაციებთან მწვანე ქალაქის ყველაზე პრიორიტეტული გამოწვევების შესახებ, სამუშაო ჯგუფის მიერ გარემოსდაცვითი მონაცემების ფართო მიმოხილვაზე დაყრდნობით, მოხდა პრობლემების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტიზაცია, ჩამოყალიბდა ხედვა და შემუშავდა პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე განვითარებას. აღნიშნულ საფუძველზე კონსულტანტის მიერ მომზადდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და 2019 წლის სექტემბერში წარედგინა პასუხისმგებელ მხარეებს და

ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველ საბჭოს, ხოლო, 2019 წლის ნოემბერში საჯაროდ წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს. 2020 წლის დასაწყისში კონსულტანტმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმის (GCAP) პროექტის სრული ვერსია და მისი ქართული თარგმანი. რომელიც მოწონებულ იქნა ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭოს მიერ, 2020 წლის 13 ივლისის სხდომაზე. GCAP-ი მოიცავს მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და განვითარების, ნარჩენების მართვის და დაბინძურების, ენერგეტიკის, ურბანული მობილობის, გარემოსდაცვის, შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით არსებულ (გამოვლენილ) გამოწვევებსა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებებს (აქტივობებს), რომლებიც მხოლოდ შემოთავაზებაა და შესაძლოა დასჭირდეს დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა დაფინანსების ან ნორმატიული ნებართვების განხორციელების დაწყებამდე. თითოეული აქტივობა, სადაც საჭიროა, ასახავს საწყის ნაბიჯებს შემდგომი განხორციელებისათვის. პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD); საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია AECOM Limited; ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი (რომელიც შედგებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან); ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მმართველი საბჭო; არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (მათ შორის მსხვილი სასტუმროების, სამშენებლო სექტორის, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს, ბათუმის საერთაშორისო საკონტინენტო ტერმინალის და ა.შ. წარმომადგენლები); საჯარო სტრუქტურები: აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ ტურიზმის დეპარტამენტი, ბათუმის საზღვაო ნავსადგური, სსიპ ბათუმის ბულვარი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ლაშა სირაბიძემ აღნიშნა, რომ კარგი პროექტია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობის შედეგია. მან ასევე დასვა კითხვა იაფ სახლთან დაკავშირებით, რაზედაც ქალაქ ბათუმის მერის მ/შ-მა აღნიშნა, რომ იაფი სახლის ინფრასტრუქტურული სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. რაც შეეხება განცხადების მიღებას და კონკურსის წარმოებას 30 აგვისტომდე იყო ბოლო ვადა, ვინაიდან იუსტიციის სახლში სხვადასხვა დოკუმენტების შეგროვების კუთხით მოქალაქეებს შეექმნა გარკვეული ტიპის შეფერხებები, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება 1 თვით გადადების მიღების თაობაზე, შემდგომი პროცესია განცხადებების დამუშავება, საკონსულტაციო ტენდერის გამოცხადება, კონსულტანტი ორგანიზაცია გადაამოწმებს ყველა შესაბამის განაცხადს შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის
უფროსი

ვიზირებულია:

ი. თავართქილაძე - საკრებულოს
აპარატის იურიდიული
განყოფილების
უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს
აპარატის საქმისწარმო-
ების განყოფილების
უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საქმისწარმოებისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი

